დაბა ჩხოროწყუს დასახლებისათვის კატეგორიის შეცვლისა და ქალაქის კატეგორიის მინიჭების მოტივაცია და დასაბუთება, კატეგორიის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობის თაობაზე

დაბა ჩხოროწყუ მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზემო სამეგრელოს ისტორიულ-კულტურულ რეგიონში, დღევანდელი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. თბილისიდან დაბა დაშორებულია 317 კილომეტრით, უახლოესი პორტი - ფოთი 80 კმ-შია, რეგიონალურ ცენტრს - ქ.ზუგდიდს დაშორებულია 27 კმ-ით.

დაბა ჩხოროწყუს ტერიტორია მოიცავს 17,02 კვ. კმ ფართობს. მას ესაზღვრება შემდეგი სოფლები: აღმოსავლეთით - ნაკიანი და ახუთი, დასავლეთით - ლეწურწუმე, ჩრდილოეთით - ჭოღა და ხაბუმე, სამხრეთით - ქვედა ჩხოროწყუ. დაბა ჩხოროწყუს ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის სოფელი გარახა.

დაბა ჩხოროწყუ წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს. რეგისტრირებულ მოსახლეთა რიცხოვნობა 5000-ს აღემატება. დაბას გააჩნია შემდგომი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. 2007-2016 წლებში დაბა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე განხორციელდა უმნიშვნელოვანესი პროექტები. კერძოდ, წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების, საგზაო ნიშნებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა, შიდა გზების მოასფალტება, ტროტუარებისა და მინი-სტადიონების რეაბილიტაცია. დაბის ცენტრალური ნაწილი კეთილმოწყობილია. დახვეწილია მყარი საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის ნარჩენების მართვის პროცესი. ამოქმედებულია საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობები და საზოგადოებრივი ტუალეტები. ქუჩების დიდი ნაწილი

მოასფალტებულია, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ დაირგო ასეულობით სხვადასხვა სახეობის მცენარე, ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკი სანიმუშოდ არის მოვლილი, რომელიც ერთერთი საუკეთესოა რეგიონში. ასევე კეთილმოეწყო სკვერი საბავშვო ატრაქციონებით, აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღები. გაყვანილია სადრენაჟო არხები. სახელმწიფო/მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთები დაბის სამრეწველო ზონაში იძლევა საწარმოების განთავსების ოპტიმალურ პირობას.

განვითარებულია შიდანაციონალური და საერთაშორისო ტურიზმი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ცენტრით დაბა ჩხოროწყუში. ფართოვდება საოჯახო სასტუმროების ქსელი, შექმნილია ტურაგენტებისა და ტუროპერატორების ინსტიტუტი, ექსკურსიების, ტურისტული ლაშქრობებისა და ტურისტული მოგზაურობების კატალოგი.

დაბა ჩხოროწყუში ფუნქციონირებს სოციალურ-კულტურული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური დარგების მიხედვით შექმნილი 8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, კულტურის სახლი, საჯარო ბიბლიოთეკა, თეატრი, 2 საბავშვო ბაღი, 3 საჯარო სკოლა, მათ შორის ერთი აფხაზეთის #10 საჯარო სკოლა, მუზეუმი, რომლის დამთვალიერებელთა რაოდენობა, წლიურად 2000 უახლოვდება. მუზეუმი პერიოდულად გამოსცემს ფართო პროფილის სამეცნიერო-შემოქმედებით ჟურნალს „მაცნე“. დაბაში რამდენიმე ქანდაკებაა, მათ შორის წმ. გიორგის მონუმენტური სკულპტურა. განვითარებულია სპორტულ-რეკრეაციული ობიექტები, ამოქმედებულია სპორტული სექციები და კლუბები, სააფთიაქო ქსელი, ჯანდაცვისა და საბანკო დაწესებულებები, სასტუმროები, სავაჭრო დანიშნულებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტები.

მიგვაჩნია, რომ დაბა ჩხოროწყუს დასახლებისთვის კატეგორიის შეცვლისა და ქალაქის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში იგი შესაბამისობაში იქნება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ ქალაქის კატეგორიისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.